# ქალაქ თბილისის

# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 137

„24" მაისი 2019 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ზერი გაბრიელ სალოსის გამზირი №117-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.14.001.099) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, "ქალაქ თბილისში, ზერი გაბრიელ სალოსის გამზირი №117-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.14.001.099) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 15 მაისის №19.526.693 განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილ ნუსხაში გათვალისწინებული უძრავი ქონების, ამავე ნუსხაში მითითებულ პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ლარად) პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი 2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

დანართი №1

ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩა 117 (ს/კ 01.17.14.001.099)

| № | სახელი და გვარი | პირადი № | დაკავებული ბინის სართული და ბინის ნომერი | ფაქტობრივად დაკავებული ფართი | საკადასტრო კოდი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი ნამგალაური | 01033003256 | სართული 2 | 103.55 კვ.მ | 01.17.14.001.099.01.505 |
| | | | სართული 1 | 6.63 კვ.მ | 01.17.14.001.099.01.507 |
| 2 | ელისო აფხაზავა | 19001019436 | სართული 2 | 21.05 კვ.მ | 01.17.14.001.099.01.508 |
| 3 | მარეხი სააკაშვილი | 01017038566 | სართული 2 | 28.75 კვ.მ | 01.17.14.001.099.01.503 |
| 4 | თამაზ პირმისაშვილი | 16001001012 | სართული 1 | 39.10 კვ.მ | 01.17.14.001.099.01.504 |
| 5 | ქეთევან თოფურიძე | 01601102143 | სართული 1 | 54.44 კვ.მ | 01.17.14.001.099.01.506 |
| 6 | მარეხი სააკაშვილი | 01017038566 | სართული 2 | 6.44 კვ.მ | 01.17.14.001.099.01.502 |
| | ელისო აფხაზავა | 19001019436 | | | |